



**"ენერგოეფექტურობის
ცენტრის"
ყოველკვირეული
საინფორმაციო
ბიულეტენი**

N 29, 2024

სარჩევი

ნავთობი და გაზი	2
რუსეთთან შეთანხმების დასრულების შემდეგ, უკრაინის გავლით გაზის ექსპორტი შესაძლოა, აზერბაიჯანმა განახორციელოს	2
ქვეყნები, რომლებშიც აზერბაიჯანი ყველაზე მეტ ნავთობს ყიდის	3
ელექტროენერგეტიკა	3
2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 2%-ით გაიზარდა	3
რომელი ჰესები გამოიმუშავენ საქართველოში ყველაზე მეტ ენერჯიას - რეიტინგი	4
განახლებადი ენერჯია და ენერჯოეფექტურობა.....	5
KfW საქართველოს ენერჯოსექტორის მხარდაჭერისთვის €100 მლნ-ის კრედიტს გამოუყოფს.....	5
ენერჯეტიკულ ბირჟაზე პირველი ტრანზაქცია განხორციელდა.....	5
კლიმატის ცვლილება.....	6
IEA აცხადებს, რომ გაგრილებაზე მოთხოვნის ზრდა ქვანახშირის ელექტროსადგურებს მუშა რეჟიმში დატოვებს.....	6
COP29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი წიაღისეული საწვავის მწარმოებლებისგან ითხოვს 1 მილიარდ დოლარს კლიმატის ფონდისთვის	7
ღონისძიებები	7

ნავთობი და გაზი

რუსეთთან შეთანხმების დასრულების შემდეგ, უკრაინის გავლით გაზის ექსპორტი შესაძლოა, აზერბაიჯანმა განახორციელოს

ევროკავშირმა მოლაპარაკებები დაიწყო აზერბაიჯანთან გაზის იმპორტის გაზრდაზე. „დოიჩე ველე“ და „ბლუმბერგი“ წერენ, რომ აზერბაიჯანული გაზი ევროპას შესაძლოა, უკრაინის მილსადენების გავლით მიწოდოს.

Bloomberg-თან ინტერვიუში თვის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დაადასტურა, რომ აწარმოებს ევროკავშირსა და აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებს იმის შესახებ, რომ რუსეთთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ, ევროპისთვის გაზის ტრანზიტს განახორციელებს.

„გაზპრომსა“ და უკრაინას შორის ხუთწლიანი ხელშეკრულება 2019 წელს შედგა. ხელშეკრულება მიმდინარე წლის ბოლოს იწურება. დაახლოებით 5 წლის წინ დადებული ხელშეკრულების მიხედვით, „გაზპრომი“ ევროპაში წიაღისეული საწვავის ტრანზიტისთვის უკრაინის მილსადენებს იყენებდა.

Bloomberg-ის თანახმად, უკრაინამ 2021 წელს სატრანზიტო შემოსავლიდან დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა. „დოიჩე ველე“ წერს, რომ ომის დაწყების შემდეგ, ყოველწლიური შემოსავალი 700 მილიონ დოლარამდე დაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნების ნაწილმა შეამცირა რუსული გაზის მოხმარება, ამ დროისთვის უკრაინის გავლით რუსული გაზის ყველაზე დიდი მომხმარებლები ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი და იტალია არიან. ბრიუსელმა განაცხადა, რომ ამ ქვეყნებს შეუძლიათ მოთხოვნა სხვა წყაროებიდან დააკმაყოფილონ. მოსკოვი კი აცხადებს, რომ დიახ ხელშეკრულების გასაახლებლად.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ჯერ კიდევ 2022 წლის ივლისში ბაქოში ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, 2027 წლისთვის ყოველწლიურად აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის იმპორტის 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზრდის შესახებ.

უკრაინაში ომის დაწყების პირველივე წელს აზერბაიჯანმა 56%-ით გაზარდა გაზის ექსპორტი ევროპაში. „დოიჩე ველეს“ ცნობით, ის მიზნად ისახავს 2027 წლისთვის ექსპორტის გაორმაგებას. მედია იუწყება, რომ თუ არსებული ტემპით გაგრძელდება აზერბაიჯანული გაზის იმპორტი ევროპაში, 2024 წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, 12.8 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს.

ცნობისთვის, უკრაინას აქვს ათასობით კილომეტრიანი მილსადენი, რომლითაც რუსული გაზი დასავლეთ ევროპას მიეწოდება. უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყებამდე აღნიშნული მილსადენებით 150 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გადინება ხორციელდება.

ომის დაწყების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებმა რუსულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება შეამცირეს, თავის მხრივ კი რუსეთს 2019 წელს შეთანხმებული 40 მილიარდი კუბური მეტრიდან უკრაინის გავლით ევროპაში გაზის მიწოდება გასულ წელს 15 მილიარდ კუბურ მეტრამდე შეუმცირდა.

წყარო: bpn.ge - <https://cutt.ly/uelEu4Lh>

ქვეყნები, რომლებშიც აზერბაიჯანი ყველაზე მეტ ნავთობს ყიდის

2024 წლის იანვარ-ივნისში აზერბაიჯანმა 20 ქვეყანაში 11,1 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტზე, ჯამში 7 მილიარდი დოლარი.

სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ნავთობი იტალიაში იყო ექსპორტირებული.

ინფორმაციის თანახმად, ამ ქვეყანაში ექსპორტირებული ნავთობის ღირებულება 2,7 მილიარდი დოლარი იყო, რაოდენობა კი 4,3 მილიონი ტონა.

მეორე ადგილი ისრაელმა დაიკავა - ამ ქვეყანაში 989 მილიონი დოლარის ღირებულების 1,6 მილიონი ტონა ნავთობია ექსპორტირებული.

მესამე ადგილზეა ინდოეთი 891,9 მილიონი ტონა 567,8 მილიონი დოლარით.

ყველაზე მცირე საექსპორტო მოცულობით ქვეყანა უზბეკეთი იყო 893 ტონა 434 ათასი აშშ დოლარით.

წყარო: bfm.ge - <https://cutt.ly/eelEiivf>

ელექტროენერგეტიკა

2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ელექტროენერჯის მოხმარება 2%-ით გაიზარდა

2024 წლის იანვარ-ივნისში საქართველომ 7.66 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერჯია მოიხმარა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2%-ით, ანუ 144 მილიონი კილოვატ საათით მეტია.

ელექტროენერჯის მოხმარების ზრდასთან ერთად 2024 წელს გაიზარდა ადგილობრივი ჰიდრო გენერაციის მოცულობა. მთლიანობაში ქვეყანაში არსებულმა ჰესებმა 6 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, რაც წინა წელთან შედარებით 13.4%-ით მეტია. ჰიდროელექტროსადგურების გენერაციის მატება სავარაუდოდ ენერგეტიკისთვის უფრო ხელსაყრელ ნაღებების მოცულობასთან იყო დაკავშირებული.

გამომუშავების ზრდის გათვალისწინებით, შემცირდა ელექტროენერჯის იმპორტი და მან 457 მლნ კილოვატ საათი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 24%-ით, ანუ 143 მილიონი კილოვატ საათით ნაკლებია.

ამის შედეგად, საქართველოს ადგილობრივი ჰიდრო გენერაციის წილმა მოხმარების 79% დააკმაყოფილა. შედარებისთვის, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში ჰიდრო გენერაციის წილი ადგილობრივ მოხმარებაში 71%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება ექსპორტს, მისი მოცულობა თითქმის უცვლელად შენარჩუნდა (ზრდა 1 მლნ კილოვატ საათი) და იანვარ-ივნისში 757 მილიონი კილოვატ საათი შეადგინა, საიდანაც 634 მილიონი კილოვატ საათი თურქეთში, 90 მილიონი კილოვატ საათი სომხეთში, 32 მილიონი კილოვატ საათი კი აზერბაიჯანში ექსპორტირდა.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/CelEicMH>

რომელი ჰესები გამოიმუშავენ საქართველოში ყველაზე მეტ ენერჯიას - რეიტინგი

2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მოქმედმა ჰესებმა 6 მილიარდი კილოვატ საათი ელექტროენერჯია გამოიმუშავეს, რაც წინა წელთან შედარებით 13.4%-ით მეტია. გაუმჯობესებული გამოიმუშაება უკეთეს კლიმატურ პირობებთან არის დაკავშირებული. 2024 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში ყველაზე მეტი ელექტროენერჯია უმსხვილესმა ჰიდროელექტროსადგურმა, ენგურჰესმა გამოიმუშავა, რამაც 1.6 მილიარდი კილოვატ საათი, ანუ მთლიანი ჰიდრო გამოიმუშაების 26% შეადგინა. წინა წელთან შედარებით ენგურჰესის გამოიმუშაება 15%-ით არის გაზრდილი. მეორე ადგილზეა ვარციხეჰესი 591 მილიონი კილოვატ საათი გამოიმუშაებული ელექტროენერჯიით (ზრდა 10%), ხოლო მესამეზე ვარდნილჰესების კასკადი 361 მილიონი კილოვატ საათით (ზრდა 32%).

N	ჰესი	მლნ. კვტ.სთ	ზრდა/კლება წინა წელთან
1	ენგურჰესი	1,601	15%
2	ვარციხე	591	10%
3	ვარდნილჰესების კასკადი	361	32%
4	შუახევიჰესი	331	-9%
5	ლაჯანურჰესი	235	14%
6	ფარავანჰესი	235	16%
7	გუმბათჰესი	211	12%
8	დარიალიჰესი	203	0%
9	ხრამჰესი 2	198	20%
10	ჟინვალჰესი	163	-20%
11	რიონჰესი	158	23%
12	ზაჰესი	146	14%
13	ხრამჰესი 1	141	49%
14	ხელვაჩაურიჰესი 1	137	23%
15	ძვერულაჰესი	117	55%
16	შაორჰესი	95	5%
17	კირნათიჰესი	78	44%
18	ოლდენერჯიჰესი	70	13%
19	ხადორჰესი	68	8%
20	აწჰესი	65	7%

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/KelEiFb>

განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

KFW საქართველოს ენერგოსექტორის მხარდაჭერისთვის €100 მლნ-ის კრედიტს გამოუყოფს

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) საქართველოს მწვანე ენერჯეტიკის განვითარებისთვის 100 მილიონი ევროს სესხს გამოუყოფს - შესაბამისი სასესხო შეთანხმება მხარეებმა 2024 წლის 17 ივნისს გააფორმეს, ხოლო დღეს რატიფიცირებისთვის პარლამენტში განიხილეს.

საკრედიტო დაფინანსება 2024-2027 წლებზე არის გათვლილი და მის ფარგლებში საქართველომ მდგრადი და მწვანე ენერჯეტიკის განვითარების მიმართულებით უნდა გაატაროს რეფორმები. კრედიტი ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს წარმოადგენს და ის სახელმწიფოს კონკრეტული რეფორმების განხორციელების პარალელურად ჩაერიცხება.

ეს სესხი წარმოადგენს 2018 წელს KFW-სა და ფრანგული AFD-ს მიერ დაწყებული ენერჯეტიკის მხარდამჭერი საკრედიტო შეთანხმების გაგრძელებას, რომელიც 6 ფაზად განხორციელდა და რომლის ფარგლებშიც საქართველომ 641 მილიონი ევროს დაფინანსება უკვე მიიღო.

პარლამენტში საკითხი ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ წარადგინა. მისი თქმით, პროექტი განახლებადი ენერჯიის მხარდაჭერას მოიცავს.

„შარშან გვქონდა მოლაპარაკებები, შედეგად დაიწყო ახალი ფაზა, გათვლილი 2024-2027 წლებზე, რომლის ფარგლებშიც, გარკვეულ რეფორმებზე დაფუძნებით, ასევე მოხდება საბიუჯეტო სესხების გამოყოფა. ენერჯეტიკის გარდა, არის მწვანე მიმართულებაზე გადასვლის საკითხი. ზოგადად, მომდევნო წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები გულისხმობს მწვანე წყალბადის გამოყენების დაწყების შესაძლებლობებს, გარდამავალ პერიოდში სოციალურად მოწვევადი მოსახლეობის მხარდაჭერას განახლებად ენერჯიებზე გადასვლის შემთხვევაში, ასევე განახლებადი ენერჯიის სექტორის მხარდაჭერას, ნარჩენების მართვას, ემისიების სტანდარტებს და ა. შ. ამ მიმართულებებზე ერთობლივად ვიმუშავებთ მომდევნო წლებში“, - განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

სესხის ხანგრძლივობა 15 წელია, მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი - 1 წელია. საკრედიტო შეთანხმების განმარტებითი ბარათის თანახმად, კრედიტის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და ის თანხის ჩამორიცხვის დღეს დაზუსტდება.

წყარო: bm.ge - <https://cutt.ly/XelEi2uQ>

ენერჯეტიკულ ბირჟაზე პირველი ტრანზაქცია განხორციელდა

დღით ადრე ბაზარზე პირველი ვაჭრობა შედგა.

საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟის ინფორმაციით, 2024 წლის 24 ივლისის ფიზიკური მიწოდების დღისთვის, ჯამურად ნავაჭრი ელექტროენერჯიის მოცულობა 1022 მგვტ.სთ-ია, ხოლო საშუალო შეწონილმა ფასმა შეადგინა 126.43 ლარი/მგვტ.სთ-ზე.

ამ დროისთვის ბირჟაზე 13 მონაწილეა რეგისტრირებული:

- სს ენერგო-პრო ჯორჯია;
- სს ეპ ჯორჯია გენერაცია;

- შპს თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია;
- შპს სვანეთი ჰიდრო;
- შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია;
- სს თელასი;
- შპს ლილო-მოლი;
- სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;
- შპს რიცეულაჰესი;
- შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია;
- შპს ჰიდრო ჯორჯია;
- შპს კასლეთი 2;
- შპს გეოენერჯი.

შეგახსენებთ, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა 1 ივლისს არასავალდებულო ვაჭრობის რეჟიმში გაიხსნა, თუმცა, ამ დრომდე ტრანზაქცია განხორციელებული არ იყო.

წყარო: energynews.ge - <https://cutt.ly/welEodgl>

კლიმატის ცვლილება

IEA აცხადებს, რომ გაგრილებაზე მოთხოვნის ზრდა ქვანახშირის ელექტროსადგურებს მუშა რეჟიმში დატოვებს

მიმდინარე წელს ელექტროენერჯიაზე გლობალური მოთხოვნა გაიზრდება ყველაზე სწრაფი ტემპით ბოლო 20 წლის განმავლობაში, რაც გამოწვეულია ჰაერის კონდიცირებაზე მოთხოვნილების გაზრდით ტემპერატურის მატების შესაბამისად, ნათქვამია საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) მოხსენებაში.

ტენდენცია, რომელიც სავარაუდოდ 2025 წელსაც გაგრძელდება, ხელს შეუწყობს ქვანახშირის ენერჯის მუდმივ გამოყენებას, მიუხედავად იმისა, გაიზრდება თუ არა განახლებადი ენერჯის წარმოება, სააგენტოს პროგნოზის მიხედვით. მოსალოდნელია, რომ ჰაერის კონდიცირება კვლავ იქნება მოთხოვნის ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი, რეკორდულად მაღალი გლობალური ტემპერატურისა და ძლიერი სითბური ტალღების ერთწლიანი პერიოდის შემდეგ, რაც უზიძგებს ქსელებს საიმედო, მაგრამ უფრო „ბინძური“ საბაზო მიწოდების შესანარჩუნებლად ისეთი წყაროებიდან, როგორცაა ქვანახშირი.

„ელექტროენერჯიაზე გლობალური მოთხოვნის ზრდა მიმდინარე და მომავალ წელს იქნება ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს ელექტროენერჯის მზარდ როლს ჩვენს ეკონომიკაში, ისევე როგორც ძლიერი სითბური ტალღების ზემოქმედებას“, - თქვა კეისუკე სადამორმა, IEA-ს ენერგეტიკული ბაზრების და უსაფრთხოების დირექტორმა.

წყარო: eceee.org - <https://bit.ly/4bXIq7X>

Cop29-ის მასპინძელი აზერბაიჯანი წიაღისეული საწვავის

მწარმოებლებისგან ითხოვს 1 მილიარდ დოლარს კლიმატის ფონდისთვის

ნავთობისა და გაზის მოპოვებაში ჩართულ ქვეყნებსა და კომპანიებს მოეთხოვებათ შეუერთდნენ სქემას, რომელიც მიზნად ისახავს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლას.

წიაღისეული საწვავის მწარმოებელ ქვეყნებსა და კომპანიებს სთხოვენ გადაუხადონ ახალ საერთაშორისო ფონდს, რათა დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილების შედეგებს.

კლიმატის საინვესტიციო ფონდს აფუძნებს აზერბაიჯანის მთავრობა, ნოემბერში გაეროს კლიმატის სამიტის Cop29-ის მასპინძელი ქვეყანა.

კლიმატის დაფინანსების სამოქმედო ფონდი მიიღებს ფინანსურ შენატანებს წიაღისეული საწვავის მწარმოებელი ქვეყნებისა და კომპანიებისგან და გამოიყენებს ამ ფულს განვითარებად ქვეყნებში ისეთ პროექტებში ინვესტირებისთვის, რომლებიც ამცირებენ სათბურის გაზების ემისიებს და ხელს შეუწყობს ამინდის ექსტრემალური მოვლენების ზემოქმედების მიმართ მდგრადობას.

ელჩინ რაფიევა, Cop29-ის პრეზიდენტობის მთავარმა მომლაპარაკებელმა, განაცხადა: „დაფინანსების ტრადიციული მეთოდები არასაკმარისი აღმოჩნდა კლიმატის კრიზისის გამოწვევებისთვის, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა განსხვავებული მიდგომა. ფონდი კაპიტალიზაცია მოხდება წიაღისეული საწვავის მომპოვებელი ქვეყნებისა და კომპანიების შენატანებით და გააქტიურებს კერძო სექტორს. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას ექნება უფლება [მიიღოს ფული] ფონდიდან“.

მაგრამ ფონდში შენატანები იქნება ნებაყოფლობითი და არ არის შემოთავაზებული მექანიზმი, რომელიც აიძულებს ქვეყნებს და კომპანიებს, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პასუხისმგებელნი სათბურის გაზების გამოყოფაზე, გადაიხადონ მასში.

წყარო: theguardian.com - <https://bit.ly/4djaKmi>

ღონისძიებები

[ICSD 2024: მე-12 საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე](#)

თარიღი: 11–12 სექტემბერი, 2024

ორგანიზატორები: მდგრადი განვითარების ევროპული ცენტრი - CIT უნივერსიტეტი

ადგილი: რომი, იტალია

თემატიკა: კლიმატი, განახლებადი ენერჯია, წყალი და ნიადაგის კონსერვაცია

[ნახშირორჟანგის უტილიზაციის ევროპული სამიტი](#)

თარიღი: 18–19 სექტემბერი, 2024

ორგანიზატორი: Active Communications International

ადგილი: ბერლინი, გერმანია

[ფრაიბერგის მე-12 საერთაშორისო კონფერენცია ნახშირბადის ცირკულარული ტექნოლოგიების შესახებ](#)

თარიღი: 23-27 სექტემბერი, 2024

ადგილი: შანხაი, ჩინეთი

[მე-17 საერთაშორისო კონფერენცია ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების შესახებ](#)

თარიღი: 9-11 ოქტომბერი, 2024

ორგანიზატორი: ენერგეტიკული პოლიტიკისა და განვითარების ცენტრი (KEPA)

ადგილი: ათენი, საბერძნეთი

